

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „იტონგ კავკასუს“ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შპს „იტონგ კავკასუს ს/კ (405154130) დაარსდა 2016 წელს, მარეგისტრირებული ორგანო-სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

რეგისტრირებული იურიდიული მისამართი: თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონში, შესახვევი ყიფშიძის ქუჩა, №15, ბ. 4

ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ქ. თბილისში, ივანე იუმაშევის ქ. N12 ბ.,

დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 19 ადამიანს. (2018 წელს- 13 ადამიანი).

კომპანიის დამფუძნებლებს წარმოადგენენ:

2019 წელი		2018 წელი	
შპს „იტონგ კაპიტალი“	37.60%	შპს „იტონგ კაპიტალი“	37.60%
სს m2 უძრავი ქონება	28.90%	სს საპარტნიორო ფონდი	28.90%
შპს „Xella Baustoffe GmbH	33.50%	შპს „Xella Baustoffe GmbH	33.50%
	100.00%		100.00%

კომპანიის მმართველობის ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო.

კომპანიის დირექტორი დიმიტრი ადამია

შპს „იტონგ კავკასუს“ (405154130) თბილისში ახორციელებს მნიშვნელოვან პროექტს, რომელიც გულისხმობს ცნობილი გერმანული ბრენდის „Ytong“ ავტოკლავური აირბეტონის სამშენებლო ბლოკის წარმოებას.

შპს "იტონგ კავკასუს" ქ. თბილისში, ივანე იუმაშევის ქ. N12 ბ., ახორციელებს ავტოკლავური აირბეტონის მწარმოებელი მაღალტექნოლოგიური ქარხნის მშენებლობას. მოგახსენებთ, რომ მიმდინარე მშენებლობა არის ექსკლუზიური, პროექტი საქართველოს ფარგლებში და გააჩნია მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის ეკონომიკისთვის. იტონგის აირბეტონის ბლოკი არის ენერგოეფექტური, ეკოლოგიურად უსაფთხო, ევროპული სტანდარტის პროდუქტი, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მშენებლობის ხარისხს საქართველოში. აღსანიშნავია, რომ პროექტის საინვესტიციო მოცულობა შეადგენს 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) ევროს. "Ytong Caucasus" ყოველწლიურად გეგმავს 160 000 კუბური მეტრი აირბეტონის ბლოკების წარმოებას, რომლის ნაწილი ადგილობრივ ბაზარზე გაიყიდება, ხოლო ნაწილი კი ექსპორტზე გავა. კომპანია „Xella Deutschland GmbH“-სთან გაფორმებული

სასაქონლო ნიშნის ლიცენზიის ხელშეკრულება იძლევა ექსკლუზიურ უფლებას წარმოებულ და რეალიზებულ იქნას იტონგის პროდუქცია საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და რუსეთის ფედერაციის სამხრეთ რეგიონში. ყოველივე ზემოთაღნიშნული წარმოადგენს ქართული სამშენებლო ბაზრის განვითარების წინაპირობას.

ასევე კომპანია წარმოადგენს პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ ერთ-ერთ მსხვილ ბენეფიციარს.

გაცნობებთ, რომ ამჟამად ქარხნის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები თითქმის დასრულებულია და განხორციელებულია 40 მილიონი ლარის ინვესტიცია. ქარხნის გასაშვებად დარჩენილია ელექტრო-სამონტაჟო და პროგრამული უზრუნველყოფის სამუშაოები.

2. შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) საფუძველზე.

2.2 საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

2.3 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულებებზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიების აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალების განხილულია ქვემოთ მითითებულ შენიშვნებში.

2.4 საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია და წარმოდგენილია ქართულ

ლარში.უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციების ასახვა ბუღალტრულ ანგარიშგებაში ხორციელდება ოპერაციების განხორციელების დღეს არსებული კურსის გამოყენებით.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

ბუღალტრული აღრიცხვის მიღებული პოლიტიკა წინა ფინანსური წლის პოლიტიკის შესაბამისია

3.1 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას უცხოურ ვალუტაში არსებული მუხლების გადაფასებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

ვალუტა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2019
ლარი/აშშ დოლარი	2,6766	2,8677
ლარი/ევრო	3,0701	3,2095

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ხარჯი, თუ ამის აუცილებლობა არსებობს.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს:

- ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლების შემდეგ;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა.

ზარალი, რომელიც წარმოშობილია ძირითადი საშუალების ჩამოწერიდან აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დანახარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში, ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება აღიარდება ხარჯებში, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით და ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას შემდეგ, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში.

- შენობა-ნაგებობები - ექსპლუატაციაში არაა ჯერ შესული, არ ერიცხება ცვეთა
- სატრანსპორტო საშუალება - 12წელი
- ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი 5 წელი
- მცირეფასიანი ინვენტარი - 3 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს შეფასებით თანხას, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან, (გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით), თუ აქტივს უკვე ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს მოსალოდნელი ასაკი და მდგომარეობა. აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულია, თუ კომპანია აპირებს მის გამოყენებას აქტივის მთელი ფიზიკური ვადის განმავლობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება და საჭიროების შემთხვევაში იცვლება ბალანსის მომზადების თარიღისთვის.

3.3 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მომდევნო პერიოდებში იზომება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მოკლევადიანი მოთხოვნები, რომელთაც პროცენტი არ ერიცხება აღირიცხება ნომინალური ღირებულებით. ამოუღებადი თანხების სავარაუდო ოდენობის შესაბამისი ანარიცხები აღიარდება მოგება-ზარალში მაშინ, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. აღიარებული ანარიცხები იზომება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და საწყისი აღიარებისას მიღებული სავარაუდო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, როდესაც ეს უკანასკნელი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით არის დისკონტირებული.

3.4 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

3.5 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებით გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად :

- სესხები და მოთხოვნები;
- რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას სხვადასხვა კატეგორიებს მიეკუთვნება მათი მახასიათებლებისა და დანიშნულების შესაბამისად. ფინანსური ინსტრუმენტის დაყოფა კატეგორიებად შეესაბამება, იმას თუ, მისგან გამოწვეული შემოსავალი ან ხარჯი აისახება მოგება-ზარალში თუ სხვა სრულ შემოსავალში.

ზოგადად, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით. აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება სულ მცირე ერთხელ საანგარიშგებო პერიოდში. ყველა შემოსავალი და ხარჯი, დაკავშირებული ფინანსურ აქტივთან აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის პუნქად „ფინანსური ხარჯი“, „ფინანსური შემოსავალი“ ან სხვა „ფინანსური ხარჯი“.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე და მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, აგრეთვე ფულს ხელზე და საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, მისი გაკოტრება ან მისი მხრიდან გადახდების პრაქტიკის მნიშვნელოვანი გაუარესება არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურებულია. გაუფასურების ოდენობა განისაზღვრება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო

მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა ის მოთხოვნა, რომლის თანხის ამოღებაც მოსალოდნელი არ არის, პირდაპირ მოგება-ზარალში ჩამოიწერება ხარჯად.

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

კომპანიას ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე და ფულს საბანკო ანგარიშზე.

II ფინანსური აქტივები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით

ფინანსური აქტივები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, მოიცავს სავაჭროდ გამოზნულ ფინანსურ აქტივებს და აგრეთვე იმ ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც თავდაპირველი აღიარებისას კომპანია აკლასიფიცირებს ამ კატეგორიაში. განმარტების თანახმად, ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვას, მიეკუთვნება ამ კატეგორიას.

ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც მიიღება წარმოებული ფინანსური აქტივებიდან, რომელიც აქტიურ ბაზარზე განისაზღვრება საბაზრო გარიგებების შედეგად, ეფუძნება რეალურ ღირებულებაში ცვლილებას, ხოლო არა აქტიურ ბაზარზე, შეფასების მოდელის გამოყენებას.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

I სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება სესხის გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. სხვაობა წარმოშობილი მის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი მიღებულია აქციონერისგან. ამ შემთხვევაში სხვაობა წარმოშობილი რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. საწყისი აღიარების შემდეგ, სასესხო ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, ხოლო სხვაობა წარმოშობილი მის თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში. სესხთან დაკავშირებული პროცენტი და სხვა დანახარჯები აღიარდება ფინანსურ ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დანახარჯები პირდაპირ მიეკუთვნება განსაკუთრებული აქტივის შეძენას,

შექმნას ან წარმოებას, ამ შემთხვევაში ეს დანახარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

II სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემოდგომში ისინი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

3.7 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების (რომელიც აღრიცხული არ არის გადაფასების მოდელის შესაბამისად) არამატერიალური აქტივების, მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებისა და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციები განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.8 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგეო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი

საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

3.9 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირებულია აკუმულირებული მოგებით. დივიდენდი აღიარდება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.10 ანარიცხები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ანარიცხი აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს ვალდებულება იურიდიული ან კონსტრუქციული, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განოვთებული რესურსების გასვლა. როცა ფულის დროითი ღირებულების ეფექტი მნიშვნელოვანია ანარიცხების თანხა უნდა წარმოადგენდეს იმ დანახარჯების დღევანდელ ღირებულებას, რომლებიც მოალოდნელია, რომ საჭირო იქნება მოვალეობის შესასრულებად, დისკონტირების განაკვეთი უნდა წარმოადგენდეს დაბეგვრამდე არსებულ განაკვეთს, რომელშიც გათვალისწინებულია ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებისა და მოცემული ვალდებულებებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური რისკი.

3.11 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით,

მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა) ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

3.12 ამონაგების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის მიერ დაშვებული სხვა შეღავათები.

შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასაცა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- ჯგუფს აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს, როცა შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა კომპანიაში და ოპერაციასთან დაკავშირებული დარიცხული და დასარიცხი ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

მომსახურების გაწევა

შემოსავალი მომსახურებიდან აღიარდება, როცა

- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა კომპანიაში;
- ანგარიშგების თარიღისთვის კონტრაქტის დასრულების სტადია საიმედოდ იქნეს შეფასებული; და

ოპერაციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

3.13 ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ექვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალ ლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ექვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. კომპანიის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ექვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლადია წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

4. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებების საბალანო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს **28 601 893**, ლარს, ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით და შემცირებულია დაგროვილი ცვეთის ღირებულებით. პარტნიორის მიერ კომპანიაში განხორციელებული შენატანი ბალანსში ასახულია სერთიფიცირებული შემფასებლის მიერ განხორციელებული შეფასების საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ღირებულება	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ნაგებობა	მანქანა- დანადგარები და ინსტრუმენტები	მიწის ნაკვეთი	ქარხნის აუმთავრებელი მშენებლობა	სულ ჯამი
2018 წლის 01 იანვარი	-	53 000	3 739	104 700	-	2 096 952	-	2 258 391
შემოსავალი	2 606	-	16 621	478 006	9 402 201	6 504	3 080 210	12 986 149
გასავალი	-	-	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	2 606	53 000	20 360	582 706	9 402 201	2 103 456	3 080 210	15 244 540
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება								
2018 წლის 01 იანვარი	-	-	889	-	-	-	-	889
წლის ცვეთა	82	4 600	1 969	8 074	-	-	-	14 725
2018 წლის 31 დეკემბერი	82	4 600	2 858	8 074	-	-	-	15 614
საბალანსო ღირებულება 2018 31.12	2 525	48 400	17 502	574 632	9 402 201	2 103 456	3 080 210	15 228 927
ღირებულება	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ნაგებობა	მანქანა- დანადგარები და ინსტრუმენტები	მიწის ნაკვეთი	ქარხნის აუმთავრებელი მშენებლობა	სულ ჯამი
2019 წლის 01 იანვარი	2 606	53 000	20 360	582 706	9 402 201	2 103 456	3 080 210	15 244 540
შემოსავალი	277	-	48 942	1 294 186	5 365 244	5 500	6 735 050	13 449 199
გასავალი	-	-	367	1 756	-	-	-	2 123
2018 წლის 31 დეკემბერი	2 883	53 000	68 936	1 875 136	14 767 445	2 108 956	9 815 260	28 691 616
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება								
2019 წლის 01 იანვარი	82	4 600	2 858	8 074	-	-		15 614
წლის ცვეთა	567	4 600	8 040	51 197	9 704	-		74 109
2019 წლის 31 დეკემბერი	649	9 200	10 898	59 271	9 704	-	-	89 723
საბალანსო ღირებულება	2 234	43 800	58 037	1 815 865	14 757 741	2 108 956	9 815 260	28 601 893

5. სასაქონლო -მატერიალური მარაგები

მარაგების თვითღირებულება გაანგარიშებულია საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. სასაქონლო მატერიალურ მარაგს წარმოადგენს სამშენებლო მიზნით შეძენილი მარაგები:

	31.12.2019	31.12.2018
საქონლის მარაგი	464 544.44	104 895.41
სულ	464 544.44	104 895.41

6. მოთხოვნები მომსახურებიდან

მოთხოვნა არის მოკლევადიანი მისაღებ მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო მოთხოვნები	21 136.30	15 352.60
სულ	21 136.30	15 352.60

7. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

	31.12.2019	31.12.2018
ფული საბანკო ამგარიშებზე ლარი	5 020 309.13	9 753.82
ფული საბანკო ამგარიშებზე ევრო	2 382 740.77	34.26
ფული საბანკო ამგარიშებზე აშშ დოლარი	259 817.63	5 397.65
სულ	7 662 867.53	15 185.73

8. კაპიტალი

8.1 დაუფარავი ზარალი

	31.12.2019	31.12.2018
დაუფარავი ზარალი	1 962 038.50	1 031 763.39
სულ	1 962 038.50	1 031 763.39

8.2 პარტნიორთა კაპიტალი

	31.12.2019	31.12.2018
კომპანიის კაპიტალი	30 187 854	16 669 158
სულ	30 187 854	16 669 158

საანგარიშგებო პერიოდში დივიდენდი არ განაწილებულა.

9. ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31.12.2019	31.12.2018
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2 191 037.00	745 958.00
სულ	2 191 037.00	745 958.00

10.შემოსავალი არასაოპერაციო საქმიანობიდან

	31.12.2019	31.12.2018
არასაოპერაციო შემოსავალი	31 799.05	4 876.85
სულ	31 799.05	4 876.85

11.საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2 019.00	2 018.00
შრომის ანაზღაურება	307 461	256 898
ბენზინის ხარჯი	16 803	7 314
მივლინების ხარჯები	11 883	7 943
კომუნიკაციის ხარჯები	9 643	6 037
დაზღვევა	17 917	9 827
საქონის ულტაციო ხარჯი	12 220	5 537
ნარჩენების დანახარჯები	36 646	7 109
კომუნალური ხარჯი	9 905	52 389
საგადასახადო ხარჯი	209 701	79 334
საიჯარო ქირა	116 626	104 004
სოციალური დანახარჯი	6 264	
ცვლილება და ამორტიზაცია	74 130	14 725
რეკლამა		5 085
სხვა ხარჯი	20 585.62	12 902.20
	849 784	569 105

12.იჯარა

კომპანიას იჯარით აქვს აღებული შენობა-ნაგებობა, კერძოდ საოფისე ფართი. საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებებით. იჯარის პირობები მოიცავს 1 წლიან პერიოდს და გაგრძელებადია იჯარის ბოლოს ბაზარზე არსებული საბაზრო ფასით. საიჯარო მომსახურების ღირებულების შესახებ იხ. შენიშვნა 11.

13. მნიშვნელოვანი ბუღალტრული მსჯელობები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ასევე გაითვალისწინება მომავალ მოვლენებთან დაკავშირებული მოლოდინები, ასეთი დაშვებები და მსჯელობები პერიოდულად გადაიხედება, არსებულ სიტუაციასთან შესაბამისობის მიზნით.

ა. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ხელმძღვანელობა შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით, მიღებული სააღრიცხვო შეფასებები შესაძლოა განსხვავდებოდეს რეალური შედეგისგან. შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება რეგულარულად. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდსათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების საციცოცხლო ვადა

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადა, და დარწმუნებულია რომ იგი არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, ფინანსური ანგარიშგება განსხვავებული იქნება.

უიმედო ვალი

ხელმძღვანელობა აფასებს მისაღები დებიტორული დავალიანებების დონეს ისტორიულ გამოცდილებასა და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. დავალიანების ამოღების რეალური ვადა შესაძლოა განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისგან.

ბ. ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანიის საქმიანობის შედეგები წარსული გამოცდილების და მიმდინარე მოვლენებისა და გარემოებების გათვალისწინებით კვლავ ზრდას განაგრძობს.

გ. საგადასახადო რისკები

მოქმედი საკანონმდებლო ბაზა იძლევა კანონის ორაზრივან ინტერპრეტაციის საშუალებას, შესაძლოა საგადასახადო ორგანოებს მოსაზრება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის მოსაზრებისგან, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანიის მიერ განხორციელებული საგადასახადო დაბეგვრა სრულ შესაბამისობაშია საგადასახადო კანონმდებლობასთან და კომპანიას არ გააჩნია რაიმე სახის საგადასახადო რისკი.

14. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2018-2019 წლებში კომპანიას განხორციელებული აქვს ქვემოთ მითითებული სამეურნეო ოპერაციები :

2019 წელი			
დაკავშირებული მხარე	ოპერაციის შენაარსი	დარიცხული თანხა	ნაშთი 31.12.2019
დამფუძნებელი	ქონებრივი შენატანი	1 622 635.00	-
დირექტორი	ხელფასი	133 209.40	-
დაკავშირებული მხარე	მიღებული მომსახურება	3 967 500.00	727 607.00
2018 წელი			
დაკავშირებული მხარე	ოპერაციის შენაარსი	დარიცხული თანხა	ნაშთი 31.12.2018
დამფუძნებელი	ქონებრივი შენატანი	6 901 853.00	-
დირექტორი	ხელფასი	114 317.57	2 550.40
დაკავშირებული მხარე	მიღებული მომსახურება	2 579 493.00	502 694.00

15.გრძელვადიანი ვალდებულებები

გამსესხებელი	31.12.2018	სესხის მიღება	სესხის დაფარვა	გადაფასება	31.12.2019
ბაზის ბანკი (ევრო)	-	2 206 486.20	-	8 068.80	2 214 555.00
თი ბი სი ბანკი (ლარი)		5 000 000.00	-	-	5 000 000.00
სულ	-	7 206 486.20	-	8 068.80	7 214 555.00

16. შემდგომი მოვლენები

- კომპანიამ პროგრამის „აწარმოე საწართველოში“ ფარგლებში მიიღო სესხი 5 000 000 ლარის ოდენობით., ასევე ბიზნენსსესხი 300 000 ევროს ოდენობით.
- კომპანიამ შეასრულა სახელმწიფოს წინაშე აღებული ვალდებულება განეხორციელებინა ქარხნის მშენებლობაში 30 000 000 ლარის ოდენობის ინვესტიცია.

17 . COVID 19 გავლენა კომპანიაზე

ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის უკვე სრულად დასრულებულია ქარხნის მშენებლობის პროცესი, ყველა საჭირო კომუნიკაციით, დამონტაჟებულია წარმოების პროცესის დაწყებისთვის აუცილებელი დანადგარები,. ამ ეტაპზე დარჩენილია დანადგარების პროგრამირება , რაც ადგილობრივი ძალებით შეუძლებელია და ვფერხდებით. დანადგარების პროგრამირების სამუშაოების შესასრულებლად საჭიროა უხო ქვეყნებიდან მაღალკვალიფიციური პირების მოწვევა. **COVID 19** პანდემიის გამო ფერხდება აღნიშნული პირების შემოსვლა ქვეყანაში, აქვე გაცნობებთ, რომ ბოლოს თურქეთიდან შემოსული

პროფესიონალთა ჯგუფიდან ერთ-ერთს დაუდგინდა -COVID 19. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფერხდება დანადგარების პროგრამირების სამუშაოები.

ანგარიშება დამტკიცებულია 2020 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი: დიმიტრი ადამია

თარიღი: 30 სექტემბერი 2020

პროფესიონალთა ჯგუფიდან ერთ-ერთს დაუდგინდა -**COVID 19**. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფერხდება დანადგარების პროგრამირების სამუშაოები.

ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი: დიმიტრი ადამია




თარიღი: 30 სექტემბერი 2020

შპს "იტონგ კავკასუს"-ს ფინანსური ანგარიშგება 2019
წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანხა
წარმოდგენილია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	31.12.2019	31.12.2018
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	28,602,486	15,229,520
არამატერიალური აქტივები		
გადახდილი ავანსები		
<u>სულ გრძელვადიანი აქტივები</u>	<u>28,602,486</u>	<u>15,229,520</u>
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21,136	15,353
სასაქონლო მატერიალური მარაგები	464,544	104,895
გადახდილი ავანსები	629,193	627,583
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7,662,868	15,186
წინასწარ გაწეული საგადასახადო ხარჯი	252,099	390,815
<u>სულ მიმდინარე აქტივები</u>	<u>9,029,840</u>	<u>1,153,832</u>
<u>სულ აქტივები</u>	<u>37,632,327</u>	<u>16,383,352</u>
დაუფარავი ზარალი	(1,966,524)	(1,031,763)
კაპიტალი	30,187,874	16,669,158
<u>სულ კაპიტალი</u>	<u>28,221,351</u>	<u>15,637,394</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები	7,214,555	
<u>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</u>	<u>7,214,555</u>	<u>-</u>
მიმდინარე ვალდებულებები		
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,191,037	745,958
მიღებული სესხები		
გადასახდელი ხელფასები	608	

გადასახდელი პროცენტი	1,560	
სოც ანარიცხის ვალდებულებება	3,217	
<u>სულ მიმდინარე ვალდებულებები</u>	<u>2,196,421</u>	<u>745,958</u>
<u>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</u>	<u>37,632,327</u>	<u>16,383,352</u>

დირექტორი დიმიტრი ადამია



შპს "იტონგ კავკასუსი"-ს ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით თანხა წარმოდგენილია ლარში

		საწესდებო კაპიტალი	ზარალი	გაცემული დივიდენდი	სულ
I	2018 წლის 1 იანვრისთვის	2,764,748			2,764,748
					-
1	საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ფულადი სახსრებით	6,481,198			6,481,198
2	საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ქონებრივი შენატანით	6,901,853			6,901,853
3	მოცემული პერიოდის ზარალი		(510,406)		(510,406)
II	2018 წლის 31 დეკემბრისთვის	16,147,800	(510,406)	-	15,637,394

დირექტორი



სრული შემოსავლის ანგარიშგება

31.12.2019

31.12.2018

შემოსავლები	9,394	64,547
თვითღირებულების ხარჯები	(4,492)	-
საერთო მოგება	4,901	64,547
სხვა შემოსავლები	-	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(849,784)	(569,105)
საოპერაციო მოგება	(844,882)	(504,558)
საფინანსო შემოსავალი	-	-
საფინანსო ხარჯი	(15,808)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	93,777	4,877
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(167,768)	(9,226)
ზარალი	(934,681)	(508,907)
მოგების გადასახადი	(78)	(1,498)
წმინდა მოგება	(934,759)	(510,406)

30.09.2020

დირექტორი: დიმიტრი ადამია

